**საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულების მიღება 2535**

## ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ, რომელიც არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მიიღო შემოწირულობა (ფულადი სახსრები) (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით).

**I ვარიანტი**

შემოწირულება მიღებულ იქნა რეზიდენტი საწარმოდან.

**II ვარიანტი**

შემოწირულება მიღებულ იქნა რეზიდენტი საწარმოდან, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

**III ვარიანტი**

შემოწირულება მიღებულ იქნა მეწარმე ფიზიკური პირიდან.

**IV ვარიანტი**

შემოწირულება მიღებულ იქნა არარეზიდენტი საწარმოდან.

საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

## შეფასება

სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

**ოთხივე ვარიანტში:**
ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, რამდენადაც ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოწირულებები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან, ორგანიზაციას მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა.

## ღონისძიებები

**ოთხივე ვარიანტში:**
პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

➢ *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

**ანოტაცია**
**„საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულების მიღება“ №2535**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულების მიღებისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ, რომელიც არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მიიღო შემოწირულობა (ფულადი სახსრები) (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით).

**I შემთხვევა:**

შემოწირულება მიღებულ იქნა რეზიდენტი საწარმოდან.

**II შემთხვევა:**

შემოწირულება მიღებულ იქნა რეზიდენტი საწარმოდან, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

**III შემთხვევა:**

შემოწირულება მიღებულ იქნა მეწარმე ფიზიკური პირიდან.

**IV შემთხვევა:**

შემოწირულება მიღებულ იქნა არარეზიდენტი საწარმოდან.

საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია

სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში:

რამდენადაც ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოწირულებები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან, ორგანიზაციას მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.